



სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ (ს/კ 404857534) აქციონერთა  
რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ  
გადაწყვეტილება

25 აგვისტო, 2023 წ.

➤ **საზოგადოების დასახელება და მისამართი:**

„სს ლისი ლეიქ დეველოპმენტ“ (ს/კ 404857534);

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ტირიფების ქუჩა N2.

➤ **კრების მოწვევის თარიღი, დრო, ადგილი და ჩატარების წესი:**

სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ (შემდგომში „საზოგადოება“) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება გაიმართება **2023 წლის 18 სექტემბერს, 14:00 საათზე** საქართველოს დროით, **საზოგადოების** სათაო ოფისში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნეკერჩხლის ქუჩა N6, კომერციული ოფისი N002.

კენჭისყრა გაიმართება საერთო კრებაზე უშუალოდ ადგილზე დასწრებით. ის აქციონერები, რომლებიც ვერ დაესწრებიან კრებას ადგილზე გამოცხადების გზით, უფლება აქვთ კრების მიმდინარეობას თვალი მიადევნონ ელექტრონულ ფორმატში, პროგრამა “Zoom”-ის მეშვეობით, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს კრებაზე დასწრებას და იძლევა მხოლოდ კრების მიმდინარეობის თვალის მიდევნების საშუალებას. შესაბამისად, დისტანციურად დამსწრე აქციონერები ვერ შეძლებენ გადაწყვეტილებებისთვის ხმის მიცემას. დღის წესრიგით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისათვის ხმის მიცემის უფლება ექნებათ მხოლოდ კრებაზე უშუალოდ დამსწრე აქციონერებს.

**აქციონერთა საყურადღებოდ:**

დისტანციურ რეჟიმში კრებაზე თვალის მისადევნებლად, გთხოვთ გამოიყენოთ შემდეგი Zoom ლინკი:

Join Zoom Meeting

<https://us06web.zoom.us/j/88973705118?pwd=ZDRHRklENmJyOFVWN3pneS80aFFPZz09>

Meeting ID: 889 7370 5118

Passcode: 094331

➤ **სააღრიცხვო თარიღი:**

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს **საზოგადოების** აქციონერებად ირიცხებიან. **საერთო კრების სააღრიცხვო თარიღია 2023 წლის 8 სექტემბერი.**

„საერთო კრებაში“ მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას **საზოგადოების** ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორთან - სს „სი ეს არ“ (ს/კ 405141190), მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი ან აქციონერი უფლებამოსილია მიმართოს **საზოგადოების** ხელმძღვანელს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გაცემული ინფორმაციის წარმოდგენისათვის.

➤ **საერთო კრების დღის წესრიგი:**

1. წესდების ცვლილება მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
2. **საზოგადოების** იურიდიული მისამართის ცვლილება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის ცვლილება, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის ცვლილება;
4. **საზოგადოების** განთავსებული კაპიტალის გაზრდა არაფულადი შენატანის სანაცვლოდ ახალი აქციების გამოშვებით გზით:
  - 4.1. ბოზ მეიერისთვის ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭება მონაწილეობა მიიღოს **საზოგადოების** კაპიტალის ნატურით (არაფულადი შენატანით) გაზრდაში შპს „ლისის ტბის“ (ს/კ 204876615) 99.5% წილის **საზოგადოების** კაპიტალში შეტანის გზით;
  - 4.2. **საზოგადოების** სხვა აქციონერებისათვის ახლად გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება;
5. **საზოგადოების** 2022 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების შედეგების დამტკიცება.

➤ **დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში სამეთვალყურეო საბჭო და საზოგადოების მენეჯმენტი გასცემენ შემდეგ რეკომენდაციებს/ კომენტარებს:**

- **დღის წესრიგით დადგენილ პირველ საკითხთან მიმართებით** - დამტკიცდეს **საზოგადოების** ახალი წესდება საზოგადოების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- **დღის წესრიგით დადგენილ მეორე საკითხთან მიმართებით** - შეიცვალოს **საზოგადოების** იურიდიული მისამართი **საზოგადოების** ფაქტობრივ მისამართთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და საზოგადოების იურიდიულ მისამართად განისაზღვროს კომპანიის სათავო ოფისის მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნეკერჩხლის ქუჩა N6, კომერციული ოფისი N002.
- **დღის წესრიგით დადგენილ მესამე საკითხთან მიმართებით** - დაეჭიროს მხარი შემდეგს:
  - (ა) მარიამ მეღვინეთუხუცესის (პ/ნ: 01030006466) სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გამოწვევას;
  - (ბ) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან ნიკა ხაზარაძის (პ/ნ: 01030018090) გამოწვევას და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ და დამოუკიდებელ წევრად ეკატერინა შავგულიძის (პ/ნ: 20001008227) დანიშვნას;
  - (გ) აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციიდან მარიამ მეღვინეთუხუცესის (პ/ნ: 01030006466) გამოწვევას და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ ეკატერინა შავგულიძის (პ/ნ: 20001008227) დანიშვნას.
- **დღის წესრიგით დადგენილ მეოთხე საკითხთან მიმართებით** - დაეჭიროს მხარი **საზოგადოების** კაპიტალის გაზრდის მიზნით არაფულადი შენატანის სანაცვლოდ ახალი აქციების გამოშვებას და **საზოგადოების** სხვა აქციონერებისათვის ახლად გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებას, როგორც ეს განსაზღვრულია დღის წესრიგით;
- **დღის წესრიგით დადგენილ მეხუთე საკითხთან მიმართებით** - დამტკიცდეს **საზოგადოების** 2022 წლის წლიური IFRS შედეგები ერნსტ ენდ იანგ-ის 2023 წლის 3 აგვისტოს აუდიტირებული დასკვნის საფუძველზე.

➤ **საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის პროცედურები:**

საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/ პასპორტის წარმოდგენა. ხმის მიცემის უფლების განხორციელება შესაძლებელია საერთო კრებაზე ფიზიკურად დასწრებით.

➤ **საერთო კრებაზე რეგისტრაცია:**

საერთო კრებაზე დასასწრებად აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2023 წლის 18 სექტემბერს 13:30 საათზე და დასრულდება 13:50 საათზე. საერთო კრების მონაწილე პირთა რეგისტრაცია ხორციელდება კრების ჩატარების ადგილის მისამართზე, **საზოგადოების** სათაო ოფისში: ქ.თბილისი, ნეკერჩხლის ქუჩა N6.

აქციონერის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის წარმოდგენა შესაძლებელია ასევე **საზოგადოების** ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [tbi@lisi.ge](mailto:tbi@lisi.ge) საერთო კრების გახსნამდე და საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერების რეგისტრაციამდე.

➤ **საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის აქციათა საერთო რაოდენობა:**

საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის **საზოგადოების** ხმის უფლების მქონე განთავსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა შეადგენს **2,757,067 აქციას** (საიდანაც 1,732,985 ცალი აქცია არის „ა“ კლასის, ხოლო 1,024,082 ცალი აქცია არის „ბ“ კლასის; ორივე კლასის აქცია სარგებლობს თანაბარი 1 ხმის უფლებით), ხოლო განთავსებული პრივილეგირებული აქციების რაოდენობა შეადგენს 9,113 აქციას. პრივილეგირებული აქციების მფლობელ აქციონერებს არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

**საზოგადოების** ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების სულ მცირე 5%-ის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს „საერთო კრების“ ჩატარების თარიღამდე არანაკლებ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე წერილობით მიმართოს **საზოგადოების** ხელმძღვანელ ორგანოს და მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება, რა შემთხვევაშიც მოთხოვნას თან უნდა დაურთოს შესაბამისი დასაბუთება, ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი.

საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს დამატებით ეცნობებათ პირადად, კერძოდ ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები. აღნიშნული ინფორმაცია და მასალები ასევე განთავსდება კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.lisi.ge](http://www.lisi.ge).

საერთო კრების მასალების სრულად გაცნობის შესაძლებლობა აქციონერებს გააჩნიათ **საზოგადოების** სათაო ოფისში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნეკერჩხლის ქუჩა N6.

სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“

(ს/კ 404857534)

გენერალური დირექტორი

ნოდარ ადეიშვილი



**Resolution on Convening the Extraordinary Meeting of Shareholders of  
JSC “Lisi Lake Development”  
(Identification Number: 404857534)**

August 25, 2023.

➤ **Name and address of the Company:**

JSC “Lisi Lake Development” (Identification Number: 404857534);

Legal address: Tbilisi, Tiriphebi Str. #2.

➤ **Date, time, place and procedure of convening the general meeting:**

An extraordinary meeting of shareholders of JSC “Lisi Lake Development” (hereinafter the “**Company**”) will be held on **September 18, 2023 at 14:00** Georgian time, at the head office of the **Company** located at: Tbilisi, Saburtalo district, Nekerchkhali Str. N6, Commercial office N002.

Voting will take place in person during the general meeting. The meeting may be followed online through "Zoom" by shareholders who are unable to attend in person. This only gives the shareholder the right to observe the meeting and it does not constitute attendance at the meeting. As a result, shareholders who are observing the meeting online will not be able to vote for resolutions. The decisions listed on the agenda may only be voted on by the shareholders who were physically present at the meeting.

**For the attention of the shareholders:**

To follow the meeting online, please use the following Zoom link:

Join Zoom Meeting

<https://us06web.zoom.us/j/88973705118?pwd=ZDRHRklENmJyOFVWN3pneS80aFFPZz09>

Meeting ID: 889 7370 5118

Passcode: 094331

➤ **Accounting date:**

Only those shareholders who are registered as shareholders of the **Company** on the accounting date have the right to participate and vote in the general meeting. **The accounting date of the general meeting is September 8, 2023.**

The right to participate in the General Meeting can be verified with the independent registrar of the **Company's** securities - JSC "CSR" (ID: 405141190), address: Georgia, Tbilisi, Vake-Saburtalo district, i. Chavchavadze Avenue or the shareholder has the right to apply to the management of the **Company** with the request of the information issued by the registrar of securities.

➤ **Agenda of the general meeting:**

1. Amendment of the charter for the purposes of compliance with the effective legislation;
2. Change of the **Company's** legal address;
3. Change of the independent member, chairperson and deputy chairperson of the supervisory board and change of the chairperson of the **Company's** audit committee;
4. Increasing the Company's subscribed capital through the issuance of new shares in exchange for contributions in kind:
  - 4.1. Granting exclusive authority to Bob Meijer to participate in the increase of the **Company's** capital with contributions in kind (non-monetary contribution) by contributing a 99.5% share of "Lisi Lake" LLC (Identification number: 204876615) to the **Company's** capital;
  - 4.2. Cancellation of the pre-emption right of newly issued shares for other shareholders of the **Company**;
5. Approval of the **Company's** 2022 annual Financial Statements results.

➤ With regards to the matters determined in the agenda, the supervisory board and management of the **Company** provide the following recommendations/comments:

- **With regards to first matter determined in the agenda** – a new charter shall be approved for the purposes of compliance of the **Company** with effective legislation;
- **With regards to the second matter determined in the agenda** – a legal address of the **Company** shall be changed for the purposes of factual compliance and the legal address of the company shall be defined as the address of the head office of the company: Tbilisi, Saburtalo district, Nekerchkhli street N6, commercial office N002.
- **With regards to the third matter determined in the agenda** – support the following:
  - (a) The recall of Mariam Megvinetukhutsesi (P/N: 01030006466) from the membership of the supervisory board;
  - (b) The recall of Nika Khazaradze (P/N: 01030018090) from the position of the chairperson of the supervisory board and appointment of Ekaterina Shavgulidze (P/N: 20001008227) as the chairperson and independent member of the supervisory board;
  - (c) The recall of Mariam Megvinetukhutsesi (P/N: 01030006466) from the position of the chairperson of the **Company's** audit committee and appointment of Ekaterina Shavgulidze (P/N: 20001008227) as the chairperson of the audit committee shall be supported;
- **With regards to the fourth matter determined in the agenda** – the issuance of new shares in exchange for contributions in kind for the purposes of increasing the **Company's** capital as determined in the agenda and cancellation of the pre-emption right of newly issued shares for other shareholders of the **Company** shall be supported;
- **With regards to the sixth matter determined in the agenda** - the **Company's** 2022 annual IFRS results shall be approved on the grounds of audit conclusion of Ernst and Young, dated 03 August, 2023.

➤ **Procedures for participation and voting in the general meeting:**

The right to participate and vote at the general meeting can be exercised personally or through a representative - in compliance with the rules established under the legislation of Georgia. In order to participate in the general meeting, the identity document/passport of the authorized person is necessary. The right to vote can be exercised by physically attending the general meeting.

➤ **Registration at the general meeting:**

The registration of shareholders to attend the general meeting will start on September 18, 2023 at 13:30 and will end at 13:50. The registration of persons participating in the general meeting will be carried out at the head office of the **Company**: Tbilisi, Nekerchkhali Street N6.

Information on the appointment of a shareholder's representative and a notarized power of attorney can also be submitted to the **Company's** official e-mail address: [tbi@lisi.ge](mailto:tbi@lisi.ge) before the opening of the general meeting and before the registration of the shareholders announced at the general meeting.

➤ **The total number of shares as of the date of convening the general meeting:**

As of the date of convening the general meeting, the number of the **Company's** ordinary shares with the right to vote amounts to 2,757,067 shares (of which 1,732,985 shares are of class "A" and 1,024,082 shares are of class "B"; both classes of shares provide equal 1 voting right), and the number of placed preferred shares amounts to 9,113 shares. Shareholders holding preferred shares do not have the right to vote.

A shareholder/group of shareholders holding at least 5% of the voting shares in the **Company** have the right to apply in writing to the management body of the **Company** not less than 14 (fourteen) days before the date of a general meeting and request the addition of items to the agenda of the general meeting provided that each such item is accompanied by a justification or a draft decision to be adopted;

The shareholders will be informed about the general meeting personally, more precisely the decision on convening the general meeting and the necessary materials will be sent to the e-mail of each shareholder. The mentioned information will also be available at the official website of the **Company**: [www.lisi.ge](http://www.lisi.ge)

The shareholders are entitled to familiarize with the materials of the general meeting fully at the head office of the **Company** at: Tbilisi, Nekerchkhali Str. N6.

JSC "Lisi Lake Development"  
(Identification number: 404857534)  
General Director  
Nodar Adeishvili

**სადამფუნებლო შეთანხმება**  
სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“  
(ს/კ 404857534)  
(კონსოლიდირებული ვერსია)

თარიღი: \_\_/\_\_/2023

1. **სამართლებრივი ფორმა:** სააქციო საზოგადოება
2. **საფირმო სახელწოდება:** სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“
3. **საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე:** JSC “Lisi Lake Development”
4. **იურიდიული მისამართი:** საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ნეკერჩხლის ქუჩა, N 6, ოფისი N 002
5. **ხელმძღვანელი ორგანო:** გენერალური დირექტორი
6. **ხელმძღვანელი ორგანოს წევრი:**  
გენერალური დირექტორი - ნოდარ ადეიშვილი (პ/ნ 01031004439, დაბ. თარიღი: 12.01.1981, მისამართი: თბილისი, ლისის იასამნების ქ. N 5 ბ. 22.)
7. **ხელმძღვანელი ორგანოს წევრის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები:**  
ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება
8. **სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი:**  
გენერალური დირექტორი - ნოდარ ადეიშვილი (პ/ნ 01031004439, დაბ. თარიღი: 12.01.1981, მისამართი: თბილისი, ლისის იასამნების ქ. N 5 ბ. 22.)
9. **სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი:**
  - o [nodar@lisi.ge](mailto:nodar@lisi.ge)
  - o +995 599 53 30 33
10. **სამეთვალყურეო საბჭო**
  - 10.1. სამეთვალყურეოს საბჭო შედგება 4 წევრისგან
  - 10.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:
    - ეკატერინა შავგულიძე - პ/ნ 20001008227, მისამართი: ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. N34, ბ.12 - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
    - თამარ ჯაფარიძე - პ/ნ 01030030724, მისამართი: ქ. თბილისი, ამაღლების ქ. N12, ბ. 70 - თავმჯდომარის მოადგილე/წევრი;
    - ნიკა ხაზარაძე - პ/ნ 01030018090, მისამართი: ქ. თბილისი, შ. ყავლაშვილის ქ. N14 - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
    - ბობ მეთერი - პ/ნ 01008013372, მისამართი: ქ. თბილისი, ნეკერჩხლის ქუჩა #6, ბ. 801 - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
11. **გენერალური სავაჭრო წარმომადგენელი/პროკურისტი კომპანიას არ ჰყავს.**

**12. კაპიტალი**

**12.1. განთავსებული კაპიტალი შეადგენს 10,323,218.5 აშშ დოლარს.**

**12.2. განადღებული კაპიტალი შეადგენს 10,323,218.5 აშშ დოლარს.**

**13. აქციათა კლასი**

კომპანიას აქვს „A“ და „B“ კლასის აქციები და პრივილეგირებული აქციები

**14. ნომინალური ღირებულების მქონე განთავსებული აქციების რაოდენობა და მათი ნომინალური ღირებულება:**

კომპანიას ამ სადამფუძნებლო შეთანხმების გაფორმების მომენტში განთავსებული აქვს 1,732,985 ცალი „A“ კლასის ჩვეულებრივი აქცია (ნომინალური ღირებულებით 0.10 აშშ დოლარი), 1,036,920 ცალი „B“ კლასის ჩვეულებრივი აქცია (ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი) და 9,113 ცალი პრივილეგირებულ აქცია (ნომინალური ღირებულებით 1000 აშშ დოლარი).

**15. არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულება:**

(i) არაფულადი შენატანი: შპს „ლისი ტბის“ (ს/კ 204876615) 99.5% წილი, ღირებულებით [\_\_\_\_\_] აშშ დოლარი;

(ii) არაფულადი შენატანის სანაცვლოდ გამოშვებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება: 12,838 (თორმეტი ათას რვაას ოცდათვრამეტი) ცალი ახალი „B“ კლასის ჩვეულებრივი აქცია, ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი;

(iii) შენატანზე ვალდებული პირი: აქციონერი - ბობ მეიერი (პ/ნ 01008013372);

(iv) შენიშვნა: აქციების გამოსაშვებ ღირებულებას [\_\_\_\_\_] და მათ ნომინალურ ღირებულებას (12,838\$) შორის სხვაობა/ნამეტი [\_\_\_\_\_] „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 156-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ჩაითვალოს „საზოგადოების“ სარეზერვო კაპიტალად.

**16. დაფუძნებასთან, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებულ იმ არსებული ან სავარაუდო ხარჯები, რომლებიც უნდა გაიღოს სააქციო საზოგადოებამ, შეადგენს 0 ლარს.**

**17. დაფუძნების, აგრეთვე ლიცენზიის/ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელებაში პროცესში მონაწილე პირთა მიერ სააქციო საზოგადოებისგან მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებელი, შეადგენს 0 ლარს.**

**დანართი:**

დამფუძნებლების/პარტნიორების მიერ შემუშავებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს.

უფლებამოსილი წარმომადგენელი:

გენერალური დირექტორი

ნოდარ ადეიშვილი

(პ/ნ 01031004439)



**Instrument of Incorporation of  
JSC Lisi Lake Development  
(ID/C: 404857534)  
(Consolidated Version)**

**Date:** --/----/2023

1. **Legal form:** Joint stock company
2. **Name of the Company in Georgian:** სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“
3. **Name of the Company in English:** JSC Lisi Lake Development
4. **Legal address:** Georgia, Tbilisi, Saburtalo district, Nekerchkhali St., N6, commercial area N 002
5. **The Managing Body:** General Director
6. **The Member of Managing Body:** General Director - Nodar Adeishvili (personal number: 01031004439, Date of birth: 12.01.1981, Address: Tbilisi, Lisi Lilac Str. #5, Appt. 22)
7. **Scope of representative powers of member of the Managing Body:** Sole representative authority
8. **The person responsible for managing the authorized user's page (electronic address) of the Company:**  
General Director - Nodar Adeishvili (personal number: 01031004439, Date of birth: 12.01.1981, Address: Tbilisi, Lisi Lilac Str. #5, Appt. 22)
9. **E-mail address and telephone number of the person responsible for managing the authorized user's page (electronic address) of the Company:**
  - o E-mail: [nodar@lisi.ge](mailto:nodar@lisi.ge)
  - o Phone: +995 599 53 30 33
10. **The Supervisory Board**
  - 10.1. The supervisory board of the **Company** consists of 4 (four) members.
  - 10.2. The members of the Supervisory Board are:
    - **Ekaterina Shavgulidze** – personal number: 20001008227, address: Tbilisi, Simon Chikovani Str. #34, Appt. 12 – **Chairperson of the Supervisory Board.**
    - **Tamar Japaridze** – personal number: 01030030724, address: Tbilisi, Amaghleba Str. N12, Appt. 70 – **Deputy chairperson of the Supervisory Board/Member.**
    - **Nika Khazaradze** – personal number: 01030018090, Address: Tbilisi, Sh. Kavlashvili Str #14 – **Member of the Supervisory Board.**
    - **Bob Meijer** – personal number: 01008013372, Address: Tbilisi, Nekerchkhali Str. #6, Appt. 801 – **Member of the Supervisory Board.**
11. **The Company does not have a general commercial representative/prokurist.**
12. **Capital**
  - 12.1. **Subscribed capital** amounts to **USD 10,323,218.5**
  - 12.2. **Paid-up capital** amounts to **USD 10,323,218.5**

13. **Classes of Shares**

The **Company** has "A" and "B" class shares and preferred shares.

**14. Amount and nominal value of shares issued with nominal value:**

At the moment of execution of this Instrument of Incorporation the **Company** has issued 1,732,985 ordinary "A" class shares (with nominal value of USD 0.10 per one share), 1,036,920 ordinary "B" class shares (nominal value of USD 1 per one share) and 9,113 preferred shares (with nominal value of USD 1000 per one share).

**15. Nominal value of shares issued for contributions in kind:**

- 15.1. Contributions in Kind: 99.5% shares of LLC "Lisi Lake" (Id: 204876615), with value of [USD \_\_\_\_\_];
- 15.2. Amount and nominal value of shares issued for contributions in kind: 12,838 (twelve thousand eight hundred and thirty-eight) ordinary "B" class shares, par nominal value 1 USD;
- 15.3. Person responsible for contribution: Shareholder – Bob Meijer (p/n: 01008013372);
- 15.4. Comment: The difference [ \$ \_\_\_\_\_ ] between the issue value of the shares [ \$ \_\_\_\_\_ ] and their nominal value (\$12,838) shall be considered as reserve capital of the **Company** in accordance with Article 156.3 of the Law of Georgia "On Entrepreneurs".

**16. The existing or estimated expenses related to the incorporation of the Company as well as obtaining a license/permit, which must be borne by the Company, amount to 0 GEL.**

**17. The economic benefits received or to be received from the Company by the persons involved in the performance of the actions related to the incorporation and the obtaining of a license/authorization, amount to 0 GEL.**

**Annex:**

The charter of the **Company** drafted by the founders/shareholders, which is the part of this Instrument of Incorporation.

Authorized representative:  
General Director  
Nodar Adeishvili  
(ID/N: 01031004439)

**Charter**

**JSC “Lisi Lake Development”**

**Approved by the Decision of The Shareholders On:  
[date]**

**2023, Tbilisi**

**წესდება**

**სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“**

**დამტკიცებული აქციონერთა გადაწყვეტილებით:  
[თარიღი]**

**თბილისი, 2023 წ.**

## 1. General provisions

1.1. A joint-stock company (hereinafter – “Joint-Stock Company” or “Company”) is a company (legal person) established in accordance with the Law of Georgia on Entrepreneurs, whose capital is divided into shares.

1.2. A Joint-Stock Company shall be deemed established and shall obtain the status of a legal person from the moment of its registration with the Registry of Entrepreneurial and Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entities.

1.3. The legal status of a joint-stock company shall be determined by the legislation of Georgia and this Charter. The issues that are not regulated by this Charter shall be governed by the applicable legislation.

1.4. This Charter is a part of the instrument of incorporation concluded between the shareholders, that expresses their mutual will and is binding on them. The provisions of this Charter shall be binding not only on the shareholders of a joint-stock company who signed the relevant resolution, but also on those who will become shareholders of the entity in the future.

1.5. The purpose of establishing a joint-stock company is to earn profit on the basis of legitimate, repeated and independent business activities. The main activity of the company is real estate management and development. In order to earn profit, a Company shall have the right to carry out any business activity that is not prohibited by law. An activity that may be carried out under law only on the basis of a special license/permit/authorization, shall be permitted only from the moment of obtaining the relevant license/permit/authorization.

1.6. In order to achieve its goals, a joint-stock company may own property, acquire property rights and personal non-property rights, and undertake obligations. It may also act in legal relations on its own behalf, enter into transactions both in Georgia and abroad in accordance with law, determine the contents of such transactions, enter into transactions that are not provided for by law, although do not contradict law, as well as acquire property and non-

## 1. ზოგადი დებულებები

1.1. სააქციო საზოგადოება (შემდგომში - “სააქციო საზოგადოება” ან „საზოგადოება“) არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება (იურიდიული პირი), რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციებად.

1.2. სააქციო საზოგადოება წარმოშობილად ითვლება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. სააქციო საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

1.4. ეს წესდება წარმოადგენს აქციონერთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და იგი სავალდებულო ძალის მქონეა აქციონერებისთვის. ამ წესდებით განსაზღვრული ნორმები სავალდებულოა არა მხოლოდ სააქციო საზოგადოების იმ აქციონერებისათვის რომლებმაც ხელი მოაწერეს შესაბამის გადაწყვეტილებას, არამედ იმისთვისაც, ვინც მომავალში გახდება ამ სუბიექტის აქციონერი.

1.5. სააქციო საზოგადოების შექმნის მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. საზოგადოების ძირითადი საქმიანობაა უძრავი ქონების მართვა და განვითარება. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა. ის საქმიანობა, რომლის განხორციელებაც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის/ავტორიზაციის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან/და ავტორიზაციის მომენტიდან.

1.6. სააქციო საზოგადოება თავისი მიზნების მისაღწევად ფლობს ქონებას, იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს, ასევე შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონის ფარგლებში დადოს გარიგებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განსაზღვროს ამ გარიგების შინაარსი, დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ასევე შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და

property rights and undertake obligations, and be a plaintiff (claimant) and/or defendant before a court.

1.7. A joint-stock company shall be liable to the creditors with all its assets, which means that the shareholders and managers of the joint-stock company shall not be liable for the obligations of the joint-stock company. A joint-stock company shall not be liable for the obligations of its shareholders.

1.8. A joint-stock company shall be independent in its activities. It shall make decisions on the matters that are important to it by itself. A joint-stock company shall consist of relevant bodies that manage and represent it. The management bodies of a joint-stock company and their powers are determined by this Charter.

1.9. A joint-stock company shall have an independent balance. It may also have an account in banking institutions in Georgia or abroad, as well as an electronic seal or stamp, a headed paper and an emblem. A joint-stock company shall have the right to open accounts at any bank in both national and foreign currencies.

1.10. The financial year of the joint-stock company coincides with the calendar year, consists of 12 months, starts on January 1 and ends on December 31.

1.11. A joint-stock company shall have the right, according to the established procedure, to establish its undertakings, branches and representations both in the territory of Georgia and abroad, also to participate in the establishment of other organisations and undertakings. A joint-stock company shall have the right to join different types of associations.

## 2. Capital

2.1. A joint-stock company shall have subscribed capital, amount of the which capital shall be determined by the instrument of incorporation.

2.2. The Company's subscribed capital is divided into Class A common shares and Class B common shares. The Company may also have privileged shares.

იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან/და მოპასუხე სასამართლოში.

1.7. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისთვის მისი აქციონერები და ხელმძღვანელები პასუხს არ აგებენ. სააქციო საზოგადოება პასუხს არ აგებს აქციონერთა ვალდებულებებისთვის.

1.8. სააქციო საზოგადოება თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. საზოგადოება შედგება შესაბამისი ორგანოებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მართვასა და წარმომადგენლობას. საზოგადოების მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები განსაზღვრულია ამ წესდებით.

1.9. სააქციო საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი. საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ანგარიში საქართველოში ან უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ელექტრონული შტამპი ან ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა. საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას შესაბამისი ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

1.10. სააქციო საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს, შეადგენს 12 თვეს, იწყება კალენდარული წლის 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

1.11. სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, დადგენილი წესის მიხედვით, გახსნას თავისი საწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე მონაწილეობა მიიღოს სხვა ორგანიზაციებისა და წარმოებების შექმნაში. საზოგადოება უფლებამოსილია გაერთიანდეს სხვადასხვა სახის გაერთიანებებში.

## 2. კაპიტალი

2.1. სააქციო საზოგადოებას გააჩნია განთავსებული კაპიტალი, რომლის ოდენობა განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით.

2.2. საზოგადოების განთავსებული კაპიტალი დაყოფილია A კლასის ჩვეულებრივ და B კლასის ჩვეულებრივ აქციებად. საზოგადოებას შესაძლოა ასევე ჰქონდეს პრივილეგირებული კლასის აქციები.

2.3. The subscribed capital of a joint-stock company may be altered as provided for by law and this Charter.

2.4. In the case an increase in its subscribed capital, a shareholder shall make contributions no later than within five years from the moment of registration of the joint-stock company, or the increase in its capital.

2.5. The amount of the subscribed capital shall be indicated in the balance sheet of a joint-stock company.

**3. Shares/classes of shares**

3.1. A share is a registered intangible security that determines the participation of a person in the capital of a joint-stock company.

3.2. Each common (class A and class B) share entitles its holder to one vote at the general meeting of shareholders of the company. Holders of Class A and Class B common shares will receive a dividend in proportion to the number of their shares, as determined by the laws of Georgia. In case of liquidation of the company, the property to be distributed to the holders of ordinary (class A and class B) shares will be distributed in proportion to their respective shares in the subscribed capital, in accordance with paragraph 14.10 of this charter.

3.3. Preferred shares do not entitle their holders to vote at the company's shareholders' meeting.

3.4. A joint-stock company may issue other securities convertible into shares as provided for by law.

**4. Shareholders of a joint-stock company and their rights and obligations**

4.1. A shareholder of a joint-stock company is a person who holds shares in the joint-stock company (a shareholder).

4.2. A shareholder's title to shares shall be certified by the records in the shareholders' register or the records of a nominee holder.

2.3. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილება ხორციელდება კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2.4. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის გაზრდისას აქციონერმა შენატანი უნდა განახორციელოს სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის ან მისი კაპიტალის გაზრდის მომენტიდან არაუგვიანეს 5 წლის ვადაში.

2.5. განთავსებული კაპიტალის ოდენობა აღინიშნება სააქციო საზოგადოების ბალანსში.

**3. აქცია/აქციის კლასი**

3.1. აქცია არის რეგისტრირებული, დემატერიალიზებული, სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების კაპიტალში პირის მონაწილეობას.

3.2. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული ჩვეულებრივი (A კლასის და B კლასის) აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას. A კლასის და B კლასის ჩვეულებრივი აქციის მფლობელები მიიღებენ დივიდენდს თავიანთი აქციების რაოდენობის პროპორციულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში კი ჩვეულებრივი (A კლასის და B კლასის) აქციების მფლობელთათვის გასანაწილებელი ქონება განაწილდება განთავსებულ კაპიტალში მათი შესაბამისი წილების პროპორციულად ამ წესდების 14.10 მუხლის შესაბამისად.

3.3. პრივილეგირებული აქციები არ აძლევენ მათ მფლობელებს ხმის უფლებას საზოგადოების აქციონერთა კრებაზე.

3.4. სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუმუშავს აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდი.

**4. სააქციო საზოგადოების აქციონერები და მათი უფლებები-მოვალეობები**

4.1. სააქციო საზოგადოების პარტნიორი არის პირი, რომელიც სააქციო საზოგადოების აქციების მესაკუთრეა (აქციონერი).

4.2. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით.

4.3. A joint-stock company administrates its share register in accordance with Georgian legislation.

4.4. An agreement on transferring shares shall be concluded in writing. A shareholder shall notify a joint-stock company immediately upon the conclusion of an agreement on transferring shares.

4.5. Shareholders shall have the right to participate in the management of a joint-stock company in accordance with the rules and procedures established by this Charter and the applicable legislation.

4.6. Any reference/stipulation/term of the charter on the rights of shareholder applies only to shareholders with voting rights, unless it is directly defined by the charter and/or the legislation of Georgia otherwise.

4.7. A shareholder (holder of Class A common shares and Class B common shares) shall have the right to:

4.7.1. participate in the general meeting;

4.7.2. look through the issues on the agenda of the general meeting;

4.7.3. have access, as provided for by law and this Charter, to the documents of the joint-stock company and receive their printed or electronic copies, if the shareholder has given prior consent to receiving the information through electronic means of communication;

4.7.4. participate in profit distribution;

4.7.5. receive dividends in proportion to the shares in his possession;

4.7.6. request the joint-stock company to redeem his/her/its shares in the cases provided for by law;

4.7.7. receive the assets remaining after the liquidation of the joint-stock company;

4.7.8. to dispose, alienate or legally encumber his/her shares with the approval of the Supervisory Board;

4.7.9. exercise other rights provided for by law, or this Charter, as provided for by law.

4.8. In addition to the rights determined by paragraphs 4.7 of this charter, shareholders holding 5 % of voting rights shall have the following rights:

4.3. სააქციო საზოგადოება აქციათა რეესტრს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. აქციის გადაცემის შესახებ შეთანხმება წერილობით უნდა გაფორმდეს. აქციონერი ვალდებულია აქციის გადაცემის შესახებ შეთანხმების გაფორმებისთანავე აცნობოს ამის თაობაზე სააქციო საზოგადოებას.

4.5. აქციონერებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სააქციო საზოგადოების მართვაში ამ წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

4.6. წესდების ნებისმიერი მითითება/დათქმა/ჩანაწერი აქციონერის უფლებებზე ვრცელდება მხოლოდ ხმის უფლების მქონე აქციონერებზე, თუ წესდებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

4.7. აქციონერს (A კლასის ჩვეულებრივი და B კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელს) უფლება აქვს:

4.7.1. მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;

4.7.2. გაეცნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;

4.7.3. კანონითა და წესდებით დადგენილი წესით გაეცნოს სააქციო საზოგადოების დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულად, თუ აქციონერს წინასწარ აქვს განცხადებული თანხმობა ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მიღებაზე;

4.7.4. მონაწილეობა მიიღოს მოგების განაწილებაში;

4.7.5. მიიღოს დივიდენდი მის მფლობელობაში არსებული აქციების პროპორციულად;

4.7.6. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა;

4.7.7. მიიღოს ნარჩენი ქონება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად;

4.7.8. განკარგოს, გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს მის საკუთრებაში არსებული აქციები სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით;

4.7.9. განახორციელოს კანონით ან, კანონიდან გამომდინარე, ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

4.8. ხმათა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს, წინამდებარე წესდების 4.7 პუნქტით გათვალისწინებული უფლებების გარდა, უფლება აქვთ:

4.8.1. to request from the relevant management body of a joint-stock company copies of the transactions entered into on behalf of the joint-stock company. The management body of the joint-stock company may refuse to provide such copies/information in the interests of the joint-stock company;

4.8.2. to request the holding of an extraordinary meeting of the supervisory board of the joint-stock company;

4.8.3. To request a special audit of the business activities or the overall annual balance, if there is any suspicion of any violation. If such request is not satisfied by the general meeting, the decision on the said special inspection may be taken by the relevant court;

4.8.4. to convene an extraordinary general meeting in the cases provided for by law; If such request is not satisfied by the management within 20 (twenty) days from the date of such request, the shareholders can apply to the relevant court.

4.8.5. to request items to be put on the agenda of the general meeting according to the procedure established by the Law of Georgia on Entrepreneurs.

4.9. Based on an application of shareholders holding at least 5 % of the shares and a decision of the general meeting, a joint-stock company shall conduct a special inspection of a business transaction or an annual financial report of the joint-stock company, if they are not subject to statutory audit under law. For that purpose, the joint-stock company shall appoint a special auditor. A shareholder whose interests are concerned by a special inspection of a business transaction of a joint-stock company shall not have a voting right.

4.10. A shareholder shall have the following obligations:

4.10.1. to make contributions for his/her/its shares;

4.10.2. not to disclose commercial secrets and confidential information of the company;

4.10.3. to provide information to a joint-stock company or a registrar of shares on any change in the data of the shareholder that is registered with the shareholders' register;

4.10.4. to implement the decisions made by the general meeting of shareholders and other governing bodies within their competence;

4.10.5. to perform other duties determined by law and/or this Charter.

4.8.1. სააქციო საზოგადოების შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვონ სააქციო საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები. სააქციო საზოგადოების შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, სააქციო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ამ ასლების/ინფორმაციის გაცემაზე;

4.8.2. მოითხოვონ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება;

4.8.3. მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ არსებობს ეჭვი რაიმე დარღვევის თაობაზე. თუ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა საერთო კრების მიერ, გადაწყვეტილება აღნიშნული სპეციალური შემოწმების შესახებ შესაძლოა მიიღოს შესაბამისმა სასამართლომ;

4.8.4. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება. მოთხოვნა წერილობით უნდა წარედგინოს საზოგადოების ხელმძღვანელობას. თუ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ხელმძღვანელობის მიერ ასეთი მოთხოვნის თარიღიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ შესაბამის სასამართლოს.

4.8.5. მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4.9. აქციების, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების მიმართვისა და საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე სააქციო საზოგადოება ვალდებულია განახორციელოს სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემოწმება, თუ ის კანონით არ ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს, რისთვისაც იგი ნიშნავს სპეციალურ აუდიტორს. აქციონერს, რომლის ინტერესსაც ეხება სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმება, ხმის უფლება არ აქვს.

4.10. აქციონერი ვალდებულია:

4.10.1. განახორციელოს შენატანი კუთვნილი აქციის მისაღებად;

4.10.2. არ გააცხადოს საზოგადოების კომერციული საიდუმლოებები და სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია;

4.10.3. სააქციო საზოგადოებას ან აქციათა რეგისტრატორს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში;

4.10.4. შეასრულოს აქციონერთა საერთო კრების და სხვა მმართველობითი ორგანოების მიერ, მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები;

4.10.5. შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან/და ამ წესდებით.



4.11. Shareholders shall have the right to require from a joint-stock company, as provided for by law, that they evaluate and redeem their shares if, at the general meeting, the shareholders did not vote for a decision that unjustifiably and substantially impairs their rights, or concerns the reorganization of the joint-stock company.

4.12. Badri Japaridze (date of birth: 10.07.1960, residing at: Mazniashvili Str. #33, Tbilisi, with identification number: 01014001058), Mamuka Khazaradze (date of birth: 29.12.1966, residing at: Kavlashvili Str. #14, Tbilisi, with identification number: 01030001235) and Bob Meijer (citizen of Netherlands, date of birth: 10.07.1945, residing at: Titsian Tabidze Str. First turn #26, Tbilisi, with identification number: 01008012372) are the founding shareholders of the Joint-stock company (hereinafter each of them the „Founding Shareholder“). For avoidance of any doubt, the list/status of the Founding Shareholders shall reflect the shareholders of the joint-stock Company at the moment of the establishment/registration of the Company in 2010 and abovementioned shall not change the shareholders of the Company for the date of approval of this Charter or subsequent period.

4.13. In case of transfer of the shares belonging to the Founding Shareholder to the Related Party (as defined below) of such Founding Shareholder, the rights granted to the Founding Shareholder under this Charter shall be fully extended and transferred to the Related Party recipient of the shares, and such Related Party recipient shall be deemed as the founding shareholder. If the transfer of shares has taken place in such a way that there are several Related Party recipients, the said Related Party recipients shall exercise authority only jointly (if the transfer of shares has been carried out partially, the Founding Shareholder and related parties shall exercise joint authority only). For the purposes of this clause, the Related Party shall be defined as follows: a) a first-degree heir defined by the Civil Code of Georgia; b) a legal entity (or other organizational entity that is not a legal entity) in which the Founding Shareholder owns more than 50% of the shares/stakes or otherwise controls the said legal entity (another organizational entity that is not a legal entity) (hereinafter the „Related Party“). For the purposes of this clause, the rights of the Founding Shareholder shall be deemed to have been transferred to the Related Party recipient regardless of whether the transfer of shares took

4.11. აქციონერს უფლება აქვს სააქციო საზოგადოებას კანონით დადგენილი წესით მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუმართლებლად და არსებითად ლახავს ამ აქციონერის უფლებებს ან ეხება სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციას.

4.12. ბადრი ჯაფარიძე (დაბადების თარიღი: 10.07.1960, მცხოვრები მისამართზე: მაზნიაშვილის ქ. #33, თბილისი, პირადი ნომრით: 01014001058), მამუკა ხაზარაძე (დაბადების თარიღი: 29.12.1966, მცხოვრები მისამართზე: ყავლაშვილის ქ. #14, თბილისი, პირადი ნომრით: 01030001235) და ბობ მეიერი (ნიდერლანდების სამეფოს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 10.07.1945, მცხოვრები მისამართზე: ტიციან ტაბიძის ქ. #26, თბილისი, პირადი ნომერი: 01008012372) წარმოადგენენ სააქციო საზოგადოების დამფუძნებელ აქციონერებს (შემდგომში „დამფუძნებელი აქციონერები“). ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, „დამფუძნებელი აქციონერების“ ჩამონათვალი/სტატუსი ასახავს სააქციო საზოგადოების არსებულ აქციონერებს 2010 წელს კომპანიის დაარსების/რეგისტრაციის მომენტისთვის და აღნიშნული არ ცვლის საზოგადოების აქციონერებს ამ წესდების დამტკიცების ან შემდგომი პერიოდისთვის.

4.13. „დამფუძნებელი აქციონერის“ კუთვნილი აქციების ამ „დამფუძნებელი აქციონერის“ დაკავშირებული მხარისთვის (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) გადაცემის შემთხვევაში, „დამფუძნებელი აქციონერისთვის“ ამ წესდებით მინიჭებული უფლებები სრულად გავრცელდება და გადაეცემა აქციების მიმღებ დაკავშირებულ მხარეს და ასეთი დაკავშირებული მხარე ჩაითვლება „დამფუძნებელ აქციონერად“. თუ აქციების გადაცემა მოხდა ისე, რომ არსებობს რამდენიმე დაკავშირებული მხარე აღნიშნული დაკავშირებული მხარეები უფლებამოსილებას განახორციელებენ მხოლოდ ერთობლივად (თუ აქციების გადაცემა განხორციელდა ნაწილობრივ, „დამფუძნებელი აქციონერი“ და დაკავშირებული მხარეები ერთად ახორციელებენ უფლებამოსილებას). ამ მუხლის მიზნებისათვის დაკავშირებული მხარე განიმარტება შემდეგნაირად: ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული პირველი რიგის მემკვიდრე; ბ) იურიდიული პირი (ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი რომელიც არ არის იურიდიული პირი), რომელშიც „დამფუძნებელი აქციონერი“ ფლობს აქციების/წილების 50%-ზე მეტს ან სხვაგვარად აკონტროლებს აღნიშნულ იურიდიულ პირს (სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომელიც არ არის იურიდიული პირი) (შემდგომში „დაკავშირებული მხარე“). ამ მუხლის მიზნებისათვის, „დამფუძნებელი აქციონერის

place before or after approval of this Charter by the general meeting of shareholders.

**4.14. Right of Preemption.** In the event that the Company decides to issue and place any kind of shares or options convertible or exchangeable into shares (hereinafter "Securities"), each shareholder (holder of Class A common shares and Class B common shares) will have the right to preemptively purchase such securities, in proportion to his/her shares in the subscribed capital of the joint-stock company, at the same price at which the Company makes the offer. In case the joint-stock company promises to issue common (class A and/or class B) shares at a price that is lower than the net asset value per share, the company must acquire confirmation of the majority of common (class A and/or B class) shareholders on the above.

**4.15. Right of first refusal.** In the event that any holder of Class A common shares and/or Class B common shares decides to alienate his/her shares, he/she must first offer the existing shareholders (holders of Class A common and/or Class B common shares) shares for sale at the same price and on the same terms, in proportion to their shares. If the holders of (Class A and Class B) ordinary shares refuse to purchase all of the shares to be sold, then the company has the pre-emptive right to purchase the remaining shares. The right of first refusal does not apply if there is a pledge of Class A common shares and/or Class B common shares to secure a claim, disposition to a person affiliated with the holder, or to a person who purchases substantially all of the assets of the holder of such shares, or to a person with whom the shareholder is merging. The right of first refusal will terminate upon the registered public offering of the Company's Class A common and/or Class B common shares.

**4.16. Drag Along.** In the event that shareholder holding 75% or more of the outstanding common shares accept an offer to sell their shares in full to a third party, provided that the remaining shareholders are also willing to sell their shares to the third party, all other shareholders will be obliged to sell their shares to the potential buyer at the same

უფლებები“ ჩაითვლება „დაკავშირებული მხარისთვის“ გადაცემულად, მიუხედავად იმისა, აქციების გადაცემა აქციონერთა საერთო კრების მიერ მოხდა ამ წესდების დამტკიცებამდე თუ მის შემდეგ.

**4.14. უპირატესი შესყიდვის უფლება.** იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოება გადაწყვეტს გამოუშვას და განთავსოს რაიმე სახის აქციები ან აქციებში კონვერტირებადი ან გაცვლადი ოფციები (შემდგომში „ფასიანი ქაღალდები“), თითოეულ აქციონერს (A კლასის ჩვეულებრივი და B კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელს) ექნება ამგვარი ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება, სააქციო საზოგადოების განთავსებულ კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად, იმავე ფასად, რა ფასზეც აკეთებს სააქციო საზოგადოება შეთავაზებას. იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოება დააპირებს ჩვეულებრივი (A კლასის ან/და B კლასის) აქციების განთავსებას იმ ფასად, რაც ნაკლებია ვიდრე აქტივების წმინდა ღირებულება/თითოეული ასეთი კლასის აქციაზე (net asset value per share), საზოგადოებამ უნდა მოიპოვოს არსებულ ეტაპზე ჩვეულებრივი (A კლასის და B კლასის) აქციონერთა უმრავლესობის დასტური ზემოთქმულზე.

**4.15. პირველი უარის უფლება.** იმ შემთხვევაში, თუ A კლასის ჩვეულებრივი ან/და B კლასის ჩვეულებრივი აქციის რომელიმე მფლობელი დააპირებს გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული აქციები, მან პირველ რიგში არსებულ აქციონერებს (A კლასის ჩვეულებრივი და B კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს), თავიანთი წილების პროპორციულად უნდა შესთავაზოს გასაყიდი აქციები იმავე ფასად და იმავე პირობებით. თუ (A კლასის და B კლასის) ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უარს იტყვიან მთლიანად შეიძინონ გასაყიდი აქციები, მაშინ დარჩენილი აქციების შეძენის უპირატესი უფლება რჩება საზოგადოებას. პირველი უარის უფლება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს A კლასის ჩვეულებრივი ან/და B კლასის ჩვეულებრივი აქციების დაგირავებას მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, გასხვისებას მფლობელთან აფილირებულ პირზე, ან ისეთ პირზე, რომელიც ყიდულობს ამგვარი აქციების მფლობელის მთელ აქტივებს, ან ისეთ პირზე, რომელთანაც ხდება ამგვარი აქციების მფლობელის შერწყმა. პირველი უარის უფლება შეწყდება საზოგადოების A კლასის ჩვეულებრივი ან/და B კლასის ჩვეულებრივი აქციების რეგისტრირებული საჯარო შეთავაზებისთანავე.

**4.16. დრეგ ელონგი.** იმ შემთხვევაში, თუ განთავსებული ჩვეულებრივი აქციების 75%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერები მიიღებენ შეთავაზებას, რომ სრულად მიჰყიდონ მესამე პირს თავიანთი აქციები, იმ პირობით, თუ დანარჩენი აქციონერებიც მზად იქნებიან მასვე მიჰყიდონ თავიანთი აქციები, ყველა დანარჩენი აქციონერი ვალდებული იქნება პოტენციურ შემძენს მიჰყიდოს თავისი

price and under the same conditions (unless, of course, the right of first refusal given in Article 4.15 is used).

4.17. **Tag Along.** In the event that shareholders owning 75% or more of the outstanding common (class A and/or class B) shares intend to alienate their shares, minority shareholders owning the remaining 25% or less of the shares will have the right to demand from the potential buyer to buy their shares at the same price and under the same conditions, in other case the majority shareholders will be prohibited to sell their shares to the potential buyer. The same ("tag along") rights apply to the shareholders of Class B ordinary shares in the event that the shareholders of Class A ordinary shares intend to dispose of all their shares (which are less than 75% of the subscribed capital of the joint-stock company).

## 5. Distribution of Profits and Indemnification of Damages

### 5.1. Profit distribution rule:

5.1.1. Within two months of the end of the financial year, the general director must prepare a proposal for the distribution of profits for approval by the supervisory board. In case of agreement on the proposal regarding profit distribution, the supervisory board and the general director must submit a joint proposal to the general meeting; And in case of not reaching an agreement on the mentioned issue, the general director and the supervisory board should submit independent proposals. The issue of profit distribution must be decided/approved by the general meeting of shareholders (by 2/3 of the votes present or represented).

5.1.2. The net profit directed to the payment of dividends shall be distributed among the shareholders in proportion to the number of their shares. Contributions that have not been paid in full are distributed in proportion to the contributions actually paid. The distribution of profit on contributions paid during the economic year is proportional to 1/365 of the profit received from the date of contribution.

### 5.2. Payment of Dividends:

5.2.1. It is the intention of the Company to pay dividends out of the free funds of the Company to the holders of the

აქციები იმავე ფასად და იმავე პირობებით (რა თქმა უნდა, თუ არ მოხდება 4.15 მუხლში მოცემული პირველი უარის უფლების გამოყენება).

4.17. **თეგ ელონგი.** იმ შემთხვევაში, თუ განთავსებული ჩვეულებრივი (A კლასის ან/და B კლასის) აქციების 75% ან მეტის მფლობელი აქციონერების აპირებენ გაასხვისონ თავიანთი აქციები, აქციათა დანარჩენი 25% ან ნაკლების მფლობელ უმცირესობაში მყოფ აქციონერებს ექნებათ უფლება, პოტენციური შემძენისგან მოითხოვონ იმავე ფასად და იმავე პირობებით მათი აქციების შეძენაც, წინააღმდეგ შემთხვევაში უმრავლესობაში მყოფ აქციონერებსაც ეკრძალებათ პოტენციური შემძენისთვის თავიანთი აქციების გადაცემა. იგივე („თეგ ელონგი“) უფლებები ვრცელდება B კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე იმ შემთხვევაში, თუ A კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელები აპირებენ გაასხვისონ თავიანთი აქციები სულ (რაც სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის 75%-ზე ნაკლებია).

## 5. მოგების განაწილება და ზარალის ანაზღაურება

### 5.1. მოგების განაწილების წესი:

5.1.1. სამურნეო წლის დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში, გენერალურმა დირექტორმა უნდა მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. მოგების განაწილების თაობაზე წინადადებაზე შეთანხმების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭომ და გენერალურმა დირექტორმა უნდა წარუდგინონ საერთო კრებას ერთობლივი წინადადება; ხოლო აღნიშნულ საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გენერალურმა დირექტორმა და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა წარადგინონ დამოუკიდებელი წინადადებები. მოგების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს/დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ (დამსწრე ან წარმოდგენილი ხმების 2/3-ით).

5.1.2. წმინდა მოგება, მიმართული დივიდენდების გადახდაზე, უნდა განაწილდეს აქციონერთა შორის მათი აქციების რაოდენობის პროპორციულად. შენატანებზე, რომლებიც არ იქნა სრულად შევსებული, მოგების განაწილება ხდება რეალურად გადახდილი შენატანების პროპორციულად. ეკონომიკური წლის განმავლობაში გადახდილ შენატანებზე მოგების განაწილება ხდება პროპორციულად შენატანის თარიღიდან მიღებული მოგების 1/365-სა.

### 5.2. დივიდენდების გადახდა:

5.2.1. საზოგადოების მიზანია საზოგადოების თავისუფალი სახსრებიდან პირველივე

Class A and Class B common shares at the earliest opportunity. Holders of Class B common stock enjoy a preference in accordance with Article 14.10.

5.2.2. Determination of the amount of dividends to holders of Class A and Class B common shares, payment procedures and taxation will be carried out in accordance with the requirements of the relevant legislation.

5.3. If, according to the annual results, the company's annual income is insufficient to cover its expenses, the company must declare a loss. Said damages shall be paid from the funds of the company and retained earnings. If the said funds and retained earnings are insufficient, the loss will be carried forward to the next financial year.

## **6. Managing bodies of a joint-stock company**

6.1. The managing bodies of a joint-stock company are:

6.1.1. the general meeting - which represents the highest body of management of the Company;

6.1.2. the supervisory board - which oversees the company's activities and is elected by the general meeting of shareholders; and

6.1.3. the management body – General Director, the governing body is the general director, who manages the daily activities of the company.

## **7. General meeting**

7.1. A general meeting shall be held according to the procedure established by law and this Charter.

7.2. All shareholders of a joint-stock company shall have the right to participate in the general meeting, save the exceptions provided for by law.

7.3. A decision may be adopted in the case of a violation of the procedure established by law and/or this Charter for convening the meeting of shareholders, if all the shareholders attend the meeting and give their consent to convene the meeting and adopt a decision. If a shareholder does not require the meeting to be held at another time due to the violation of the procedure established for convening it, it shall be considered as consent from the shareholder.

შესაძლებლობისთანავე გასცეს დივიდენდები A კლასის და B კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე. B კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელები სარგებლობენ უპირატესობით 14.10 მუხლის შესაბამისად.

5.2.2. დივიდენდების ოდენობის განსაზღვრა A კლასის და B კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე, გადახდის პროცედურები და დაბეგრა განხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.

5.3. თუ წლიური შედეგების მიხედვით საზოგადოების წლიური შემოსავლები არასაკმარისია ხარჯების დასაფარად, საზოგადოებამ უნდა განაცხადოს ზარალის თაობაზე. აღნიშნული ზარალი გადაიხდება საზოგადოების ფონდებიდან და გაუნაწილებელი შემოსავლიდან. თუ აღნიშნული ფონდები და გაუნაწილებელი შემოსავალი არასაკმარისია, ზარალი გადაიტანება შემდგომი ფინანსური წლისთვის.

## **6. სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოები**

6.1. სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოებია:

6.1.1. საერთო კრება - რომელიც წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს;

6.1.2. სამეთვალყურეო საბჭო - რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას საზოგადოების საქმიანობაზე და აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ; და

6.1.3. ხელმძღვანელი ორგანო - გენერალური დირექტორი, რომელიც ახორციელებს საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტს.

## **7. საერთო კრება**

7.1. საერთო კრება იმართება კანონითა და ამ წესდებით დადგენილი წესით.

7.2. კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს სააქციო საზოგადოების ყველა აქციონერს.

7.3. აქციონერთა კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუკი კრებას ყველა აქციონერი უსწრება და ყველა მათგანი თანახმაა კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. თანხმობად ჩაითვლება, თუკი აქციონერის მხრიდან არ იქნება გაცხადებული მოთხოვნა კრების სხვა დროს გამართვის შესახებ მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

7.4. The body convening the general meeting shall be responsible for properly convening and holding the meeting.

7.5. The decisions made by the general meeting within its scope of authority shall be binding for the shareholders and managing bodies of the joint-stock company.

7.6. A general meeting shall be convened in the cases provided for by law and this Charter.

7.7. The general meeting shall be convened by the general director or the supervisory board.

7.8. A decision to convene the general meeting by the supervisory board shall be made by a majority of votes of the participants in the voting, regarding which the minutes of the meeting shall be drawn up. The minutes of the meeting shall specify whether the general meeting has been convened on the shareholders' initiative or not.

7.9. If necessary, upon the written request of a shareholder/shareholders (group of shareholders) holding at least 5 % of the capital, the general director or supervisory board of a joint-stock company shall publish a decision on convening a general meeting within 10 days after receiving such request.

7.10. A written request of a shareholder/shareholders on convening a general meeting shall specify the necessity, purpose and reasons for convening the meeting, as well as the agenda of the meeting, which shall include all items requested by the shareholder/shareholders. The management body of a joint-stock company may add items to the agenda of the meeting.

7.11. If a request from a shareholder/shareholder to convene a general meeting is not granted, on the basis of an application a court may grant the applicant shareholder/shareholders the power to convene a meeting, and to appoint the chairperson of the meeting.

7.12. The general director/Supervisory board of a joint-stock company shall convene the general meeting according to the procedure established by law and this Charter, and shall decide on all organizational issues for holding the general meeting.

7.4. საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო.

7.5. საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა სააქციო საზოგადოების აქციონერებისა და მმართველი ორგანოებისთვის.

7.6. საერთო კრება მოიწვევა კანონით და ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7.7. საერთო კრება მოიწვევა გენერალური დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

7.8. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით, რის შესახებაც დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს, არის თუ არა საერთო კრება მოწვეული აქციონერთა ინიციატივით.

7.9. აუცილებლობის შემთხვევაში გენერალური დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია კაპიტალის, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.

7.10. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.

7.11. თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

7.12. გენერალური დირექტორი/სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია საერთო კრება მოიწვიოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით და გადაწყვიტოს საერთო კრების ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხი.

7.13. A decision on convening the general meeting shall be published on the authorised user's page of the electronic platform of the registration authority not later than on the 21st day before the day of the general meeting. A decision on convening the general meeting shall also be published on the website (if any) of the joint-stock company.

7.14. Each subsequent general meeting may be convened earlier than the minimum period referred to in paragraph 13 of this article, if the general meeting is convened for lack of a quorum required for convening the first general meeting, provided that the first general meeting has been convened according to the procedure established by law and no new item is added to the agenda. In such case, at least 10 days shall elapse between the last general meeting and the following general meeting.

7.15. The body convening the general meeting shall be responsible for the accuracy and availability of the published information on convening the general meeting.

7.16. The published information on convening the general meeting shall include at least the following data:

7.16.1. the brand name and legal address of the joint-stock company;

7.16.2. the place, date and time of holding the general meeting;

7.16.3. an indication as to whether it is a regular or an extraordinary general meeting;

7.16.4. the record date of the general meeting and an indication that only the persons who are shareholders on that date shall have the right to participate and vote in the general meeting;

7.16.5. the agenda of the general meeting;

7.16.6. other information provided for by law (where necessary).

7.17. The materials of the agenda of the general meeting shall contain all necessary information for the purposes of adopting a decision.

7.18. If the agenda of the general meeting provides for adopting a new version of the Charter, the new version of the Charter shall be published together with the information

7.13. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, სულ მცირე, 21 დღით ადრე. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ ქვეყნდება აგრეთვე სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.14. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის, სულ მცირე, 10-დღიანი შუალედი უნდა იყოს.

7.15. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების საერთო კრების მომწვევ ორგანოს.

7.16. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:

7.16.1. სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;

7.16.2. საერთო კრების ჩატარების ადგილი, თარიღი და დრო;

7.16.3. აღნიშვნას, მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;

7.16.4. საერთო კრების სააღრიცხვო დღეს და მითითებას, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;

7.16.5. საერთო კრების დღის წესრიგს;

7.16.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).

7.17. საერთო კრების დღის წესრიგის მასალები უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას.

7.18. თუ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულია წესდების ახალი რედაქციის მიღება, წესდების ახალი რედაქცია უნდა გამოქვეყნდეს საერთო

about convening the general meeting, unless such documents have been sent personally to all shareholders.

7.19. The general director of a joint-stock company shall publish draft decisions on the issues covered by the agenda of the general meeting or the comments on each issue included in the agenda

7.20. A shareholder/group of shareholders holding at least 5 % of the subscribed capital shall have the right to apply in writing to the general director of a joint-stock company 14 days before the date of a general meeting and:

7.20.1. request the addition of items to the agenda of the general meeting, provided that each such item is accompanied by a justification or a draft decision to be adopted.

7.20.2. submit draft decisions for items included or to be included on the agenda of the general meeting, and justification for such draft decisions.

7.21. Where the request referred to in subparagraph 7.20.1 of this charter entails a modification of the agenda of the general meeting already communicated to shareholders, a joint-stock company shall make available to the shareholders a revised agenda in advance of the applicable record date of the general meeting as provided for by paragraph 7.14 of this charter. If the obligation to make available to the shareholders a revised agenda of the general meeting arises after the record date, it shall be made available sufficiently in advance of the date of the general meeting so as to enable the shareholders to appoint proxy holders or to vote by correspondence.

7.22. A shareholder/group of shareholders holding at least 5 % of voting shares shall have the right to nominate candidates for a member of the supervisory board of a joint-stock company, if the shareholder/group of shareholders submits/submit an appropriate application/proposal to the management body not later than on the 14th day before the date of the extraordinary general meeting. The proposal shall contain the identification data of the candidates as provided for by law.

7.23. When exercising the right to nominate candidates for a member of the supervisory board by a shareholder/group of shareholders holding at least 5 % of

კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტაცია ყველა აქციონერს პირადად ეგზავნება.

7.19. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია გამოაქვეყნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტი ან მისი კომენტარი დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითოეულ საკითხზე.

7.20. განთავსებული კაპიტალის, სულ მცირე, 5%-ის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორს და:

7.20.1. მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

7.20.2. წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

7.21. თუ ამ წესდების 7.20.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების საადრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი ამ წესდების 7.14 პუნქტით დადგენილი წესით. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება საადრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები ან ხმა მისცენ წერილობით.

7.22. ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურები, თუ იგი რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დღემდე, სულ მცირე, 14 დღით ადრე წარუდგენს სათანადო განცხადებას/წინადადებას ხელმძღვანელ ორგანოს. ეს წინადადება უნდა შეიცავდეს აღნიშნული კანდიდატებისთვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

7.23. ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერთა ჯგუფის მიერ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად

voting shares, the procedure for adding items on the agenda of the general meeting and for adopting respective decisions shall be regulated by the Law of Georgia on Entrepreneurs.

7.24. Only shareholders with title to shares at the record date shall have the right to participate in a general meeting and to vote.

7.25. The record date shall not be more than 30 days before the date of the general meeting to which it applies. In the case provided for by paragraph 7.14 of this charter, at least six days shall elapse between the date of the general meeting and the record date/day.

7.26. A body convening a general meeting shall be responsible for the accuracy of the list of participants in the general meeting.

## **8. Holding a general meeting**

8.1. Shareholders may exercise their right to participate in and vote at a general meeting both personally and through a proxy holder.

8.2. A proxy holder may be appointed and a notification of such appointment shall be made either in writing or in an electronic form.

8.3. A general director and a member of the supervisory board of a joint-stock company shall not have the right to participate in a general meeting as proxy holders.

8.4. The exercise of a shareholder's rights through a proxy holder may not be restricted, unless there is a potential conflict of interest between the proxy holder and the shareholder, in whose interest the proxy holder is bound to act.

8.5. A proxy holder shall cast votes in accordance with the instructions issued by the shareholder thus represented.

8.6. Where a proxy holder holds proxies from several shareholders, the proxy holder shall have the right to cast votes for a certain shareholder differently from votes cast for another shareholder.

ასარჩევ პირთა კანდიდატურების წარდგენის უფლების გამოყენებისას საერთო კრების დღის წესრიგში შესატანი საკითხების დამატების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წესი რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

7.24. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც საერთო კრების სააღრიცხვო დღისთვის აქციებზე საკუთრების უფლება ჰქონდათ.

7.25. საერთო კრების სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე. ამ წესდების 7.14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.

7.26. საერთო კრების მონაწილეთა სიის სისწორისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო კრების მომწვევ ორგანოს.

## **8. საერთო კრების ჩატარება**

8.1. აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

8.2. წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად.

8.3. გენერალურ დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

8.4. დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.

8.5. წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმოდგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად.

8.6. თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.



8.7. The general director and the supervisory board shall participate in the work of the general meeting.

8.8. A shareholder or a proxy holder shall not exercise a voting right if a general meeting is discussing the issue of bringing a claim against or concluding an agreement with the shareholder by the joint-stock company, or the shareholder has a conflict of interest with the issue being discussed, or that issue is otherwise directly related to the shareholder.

8.9. At least one member of the supervisory board of a joint-stock company and general director shall have the opportunity to speak at a general meeting.

8.10. Pursuant to a decision of the management body of a joint-stock company, the participants of a general meeting may not only attend the general meeting personally, but together with or instead of such form of participation, electronic means of communication may also be used.

8.11. A shareholder may vote at a general meeting without attending the general meeting, including by electronic A shareholder may vote by correspondence/by electronic means in advance of or during a general meeting.

8.12. In the case of voting by electronic means, the possibility to identify a person and the safety of the electronic communication system shall be ensured, for which the general director of a joint-stock company shall be responsible.

8.13. Pursuant to a decision of the general director of a joint-stock company, a real-time video and audio transmission of a general meeting, as well as a real-time two-way communication, may be ensured, enabling the shareholders to address the general meeting from a remote location.

8.14. The general meeting is authorised to adopt decisions if attended by the shareholders having a majority of votes. If the meeting is not authorized to adopt decisions, a new general meeting with the same agenda will be convened in

8.7. გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ საერთო კრების მუშაობაში.

8.8. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი ხმის უფლებას ვერ გამოიყენებს, თუ საერთო კრება იხილავს ამ აქციონერისთვის სააქციო საზოგადოების მოთხოვნის წაყენების ან მასთან გარიგების დადების საკითხს, აღნიშნულ აქციონერს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან ეს საკითხი სხვაგვარად პირდაპირ უკავშირდება მას.

8.9. სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს, სულ მცირე, თითო წევრს უნდა მიეცეს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

8.10. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია საერთო კრებას მონაწილეები არა მხოლოდ უშუალოდ ესწრებოდნენ, არამედ ამ ფორმასთან ერთად ან მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.

8.11. საერთო კრებაზე შესაძლებელია აქციონერის მიერ ხმის მიცემა საერთო კრებაზე დაუსწრებლად, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. აქციონერმა ხმა შეიძლება მისცეს წერილობით/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საერთო კრების დაწყებამდე ან საერთო კრების მიმდინარეობისას.

8.12. ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორს.

8.13. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიოტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.

8.14. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე აქციონერები. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით მოიწვევა ახალი საერთო კრება

accordance with the procedures defined by the charter and legislation. A new general meeting is authorized to adopt decisions if it is attended by at least 25% of the shareholders with voting rights. If the general meeting is still not authorized to adopt decisions, a new general meeting shall be convened in accordance with the procedures defined by the articles of association and legislation with the same agenda, which is authorized to adopt decisions regardless of the number of present and represented shareholders.

8.15. A general meeting shall adopt a decision by a majority of votes of the participants in the voting, except for : a) the decision provided for in clause 9.1.4 of this charter, which requires 2/3 of the votes of the voting participants and b) the decision provided for in clauses 9.1.1, 9.1.2 and 9.1.3, which requires 3/4 of the votes of the voting participants.

8.16. The voting right of a shareholder shall be determined according to the number of shares.

8.17. The voting right of a shareholder shall arise from the moment the contributions for shares are fully paid up.

8.18. A general meeting shall be chaired by the chairperson of the supervisory board. In the case of his/her/its absence, the chairperson of a general meeting shall be elected by the general meeting by a majority of votes.

8.19. The form of voting during the general meeting shall be determined by the general meeting by a majority of votes of the participants in the voting.

8.20. The chairperson of a general meeting shall allow all shareholders participating in the general meeting to speak during the discussion of the items on the agenda.

8.21. Voting results shall be announced at a general meeting.

8.22. Within 15 days after the completion of a general meeting, the minutes of the general meeting shall be drawn up, which shall be signed by the chairperson of the general meeting. If a notary public attends the general meeting, the minutes of the general meeting shall be drawn up and signed by the notary public as well. If a joint-stock company is an

იმავე დღის წესრიგით. ახალი საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციონერთა სულ მცირე 25%. თუ საერთო კრება კვლავაც არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით მოიწვევა ახალი საერთო კრება იმავე დღის წესრიგით, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე და წარმოდგენილი აქციონერების რაოდენობის მიუხედავად.

8.15. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ხმის უფლების მქონე კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, გარდა: ა) ამ წესდების 9.1.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებისა, რომლის მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 2/3 და ბ) 9.1.1, 9.1.2 და 9.1.3 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებისა, რომლის მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4.

8.16. აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით.

8.17. აქციონერის ხმის უფლება წარმოიშობა აქციის სანაცვლოდ შენატანის სრულად განხორციელების მომენტიდან.

8.18. საერთო კრებას თავმჯდომარეობს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნისას საერთო კრების თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

8.19. საერთო კრების მიმდინარეობისას კენჭისყრის ფორმას განსაზღვრავს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

8.20. საერთო კრების თავმჯდომარემ საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უნდა მისცეს მისი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისას სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

8.21. კენჭისყრის შედეგები ცხადდება საერთო კრებაზე.

8.22. საერთო კრების დამთავრებიდან 15 დღის განმავლობაში უნდა შედგეს საერთო კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე. თუ საერთო კრებას ნოტარიუსი ესწრება, საერთო კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს ნოტარიუსიც. იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის

accountable undertaking under the Law of Georgia on Securities Market, whose securities are admitted for trading on the stock exchange, the minutes of the general meeting shall be drawn up by a notary public and signed by the notary public and the chairperson of the general meeting.

## **9. Scope of authority of the general meeting**

9.1. The general meeting shall make decisions on the issues falling within the scope of authority of the general meeting under law and this Charter, including on the following:

- 9.1.1. amending the instrument of incorporation and/or adopting a new version of the Charter;
- 9.1.2. merger, division or transformation of the company;
- 9.1.3. on total or partial cancellation of the right to preferential purchase of shares by the shareholder during the increase of the subscribed capital;
- 9.1.4. to accept or reject the proposal of the supervisory board or the director on the use of profits, or when these bodies cannot give a unified proposal on the use of net profit;
- 9.1.5. on the election or recall of shareholder representatives in the Supervisory Board;
- 9.1.6. on approval of the report of the General Director and the Supervisory Board;
- 9.1.7. on the issue of remuneration of members of the Supervisory Board;
- 9.1.8. on election of auditor and special controller;
- 9.1.9. on participation in the legal process against the Supervisory Board and the General Director, including the appointment of a representative for this process;
- 9.1.10. on other issues provided for by law.

9.2. The general meeting shall not have the right to adopt decisions on the issues which fall within the scope of authority of other bodies, unless such bodies apply to the general meeting with a request to decide on the issues falling within their authority.

9.3. The decision/minutes of the general meeting may be appealed in court.

შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოა, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული საფონდო ბირჟაზე, საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი და მას ხელს აწერენ ნოტარიუსი და საერთო კრების თავმჯდომარე.

## **9. საერთო კრების კომპეტენცია**

9.1. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს კანონითა და ამ წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის:

- 9.1.1. სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების შეტანის ან/და წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ;
- 9.1.2. შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის თაობაზე;
- 9.1.3. განთავსებული კაპიტალის გაზრდის დროს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებაზე;
- 9.1.4. მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორის წინადადების მიღებაზე ან უარყოფაზე, ან, როდესაც ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას წმინდა მოგების გამოყენებაზე;
- 9.1.5. სამეთვალყურეო საბჭოში აქციონერთა წარმომადგენლების არჩევაზე ან გამორწვევაზე;
- 9.1.6. გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცებაზე;
- 9.1.7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხზე;
- 9.1.8. აუდიტორისა და სპეციალური კონტროლიორის არჩევაზე;
- 9.1.9. სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- 9.1.10. კანონით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

9.2. საერთო კრებას არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც სხვა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ორგანოები საერთო კრებას მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის თხოვნით მიმართავენ.

9.3. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

## 10. General Director

10.1. A joint-stock company shall be managed and represented as against third parties by the general director. The representative powers of the general director may not be limited in relations with third parties.

10.2. The general director shall comply with the decisions adopted by the general meeting and the supervisory board within their authority.

10.3. Rights of the general director:

10.3.1. In addition to the requirements, restrictions and prohibitions defined by the relevant legislation and the present charter, the authority of the general director may be subject to the provisions approved by the supervisory board of the company;

10.3.2. In agreement with the supervisory board, the general director may appoint the deputy general director/deputies, the chief accountant and other responsible officials of the company.

10.4. The general director is obliged:

10.4.1. to manage and carry out the activities of the company;

10.4.2. to consider all the issues included in the agenda of the meetings of the company's shareholders or the supervisory board in advance, to prepare appropriate information, proposals and drafts of acceptable decisions on them;

10.4.3. to ensure the implementation of the decisions of the meetings of the shareholders and the supervisory board;

10.4.4. to make decisions on personnel selection, qualification improvement, employment and remuneration issues (provided that the general director takes into account the recommendations of the supervisory board in relation to some senior officials);

10.4.5. to decide any other matter that may be assigned to the general director by the supervisory board from time to time;

10.4.6. to comply with the requirements established by this charter and relevant legislation.

## 10. გენერალური დირექტორი

10.1. სააქციო საზოგადოებას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

10.2. გენერალური დირექტორი ვალდებულია შეასრულოს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

10.3. საზოგადოების გენერალური დირექტორის უფლებამოსილება:

10.3.1. შესაბამისი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მოთხოვნების, შეზღუდვებისა და აკრძალვების გარდა, გენერალური დირექტორის უფლებამოსილება შესაძლოა ექვემდებარებოდეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ დებულებებს;

10.3.2. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, გენერალურ დირექტორს შეუძლია დანიშნოს საზოგადოების გენერალური დირექტორის მოადგილე/მოადგილეები, მთავარი ბუღალტერი და სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

10.4. გენერალური დირექტორი ვალდებულია:

10.4.1. წარმართოს და განახორციელოს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობა;

10.4.2. წინასწარ განიხილოს საზოგადოების აქციონერთა ან სამეთვალყურეო საბჭოს კრებების დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი, მოამზადოს სათანადო ინფორმაცია, წინადადებები და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები;

10.4.3. უზრუნველყოს აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს კრებების გადაწყვეტილებების შესრულება;

10.4.4. მიიღოს გადაწყვეტილებები პერსონალის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების და ანაზღაურების საკითხებზე (იმ პირობით, რომ გენერალური დირექტორი გაითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს ზოგიერთ უმაღლეს თანამდებობის პირთან მიმართებაში);

10.4.5. გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც, დროდადრო, შესაძლოა დაევალოს გენერალურ დირექტორს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;

10.4.6. დაიცვას წინამდებარე წესდებითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

10.4.7. provide information to the supervisory board on the operation of the management body and the bodies subordinated to it.

10.5. The nature of the relationship with and the remuneration of a general director shall be determined by the Law of Georgia on Entrepreneurs and a service agreement, which is concluded with the general director by the chairperson of the supervisory board on behalf of the joint-stock company once a person is appointed as the general director of the joint-stock company.

10.6. A general director of a joint-stock company shall be appointed and may be dismissed by the supervisory board. A general director shall be appointed for a maximum term of three years, with the right to reappointment. If, after the expiry of the said period, a new term of general director is not registered as provided for by law, the term of general director shall be considered extended for an unlimited period of time.

10.7. The supervisory board, shall be authorised to dismiss a general director at any time, without stating the reason therefor. Any agreement that contradicts this provision shall be void.

10.8. General director is entitled to:

10.8.1. coordinate the ongoing management of the community's activities and direct it;

10.8.2. to act on behalf of the Company without a power of attorney, to represent the Company in relation to any matter before all government bodies or other third parties and to issue powers of attorney;

10.8.3. to sign agreements independently, taking into account any possible permission and consent of the Supervisory Board;

10.8.4. In relation to the employees of the company, to use incentives with bonuses and to impose penalties in accordance with the bylaws and regulations;

10.8.5. appoint and dismiss employees;

10.8.6. prepare all necessary materials/reports and present them to the shareholders' meeting and the supervisory board; to ensure the implementation of the decisions made by the said bodies;

10.4.7. სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელი ორგანოს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ.

10.5. გენერალურ დირექტორთან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სასამსახურო ხელშეკრულებით, რომელსაც პირის სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორად დანიშვნის შემდეგ სააქციო საზოგადოების სახელით დებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

10.6. სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. გენერალური დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება გენერალური დირექტორის უფლებამოსილების ახალი ვადის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული გენერალური დირექტორის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.

10.7. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან გენერალური დირექტორი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.

10.8. გენერალურ დირექტორს უფლება აქვს:

10.8.1. კოორდინაცია გაუწიოს საზოგადოების საქმიანობის მიმდინარე მართვას და წარმართოს ის;

10.8.2. იმოქმედოს საზოგადოების სახელით მინდობილობის გარეშე, წარმოადგინოს საზოგადოება ნებისმიერ საკითხთან მიმართებით ყველა სახელმწიფო ორგანოს ან სხვა მესამე მხარეების წინაშე და გასცეს მინდობილობები;

10.8.3. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი შესაძლო ნებართვისა და თანხმობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გააფორმოს ხელშეკრულებები;

10.8.4. საზოგადოების თანამშრომლებთან მიმართებით, გამოიყენოს პრემიებით წახალისება და დააკისროს ჯარიმები თანხმად შინაგანაწესისა და დებულებებისა;

10.8.5. დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები;

10.8.6. მოამზადოს ყველა აუცილებელი მასალა/მოხსენება და წარუდგინოს ის აქციონერთა კრებას და სამეთვალყურეო საბჭოს; უზრუნველყოს აღნიშნული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება;

10.8.7. To carry out any other activities necessary for the purposes of the company, except for the functions assigned to the shareholders' meeting and the supervisory board.

10.9. The management body of a joint-stock company shall prepare issues, upon the request of the general meeting, which fall within the scope of authority of the general meeting.

10.10. The general director of a joint-stock company shall publish on the authorised user's page of the electronic platform all information on any change in the composition of the supervisory board of the joint-stock company, the election of the chairperson of the supervisory board, and all related changes, as well as make such information available on the website (if any) of the joint-stock company.

10.11. The general director is entitled to sign the instrument of incorporation (including the consolidated version of the instrument of incorporation) of the joint stock company, for the purposes of registration of a decision made by general meeting of shareholders and/or the supervisory board.

10.12. All issues that do not fall within the scope of authority of the general meeting or the supervisory board of a joint-stock company under law or this Charter shall fall within the scope of authority of the general director of the joint-stock company.

## 11. Supervisory board

11.1. The supervisory board controls the activities of the management body/managers of a joint-stock company and cooperates with them in the process of preparing and deciding on the issues that are important for the joint-stock company.

11.2. The supervisory board shall comprise at least three members. Each Founding Shareholder who owns at least 10% of the company's voting shares has the right to have one representative on the supervisory board.

11.3. A member of the supervisory board may be both a natural person and a legal person.

10.8.7. აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, აუცილებელი საზოგადოების მიზნებისთვის, გარდა აქციონერთა კრებაზე და სამეთვალყურეო საბჭოზე დაკისრებული ფუნქციებისა.

10.9. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.

10.10. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილების, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და მასთან დაკავშირებული ყველა ცვლილების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია განათავსოს სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).

10.11. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია აქციონერთა კრების ან/და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მიზნით ხელი მოაწეროს სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებას (მათ შორის სადამფუძნებლო შეთანხმების კონსოლიდირებულ ვერსიას).

10.12. ყველა საკითხი, რომლებიც კანონით ან ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, განეკუთვნება სააქციო საზოგადოების გენერალური კომპეტენციას.

## 11. სამეთვალყურეო საბჭო

11.1. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კონტროლს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობაზე და თანამშრომლობს მასთან სააქციო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში.

11.2. სამეთვალყურეო საბჭო შედგება, სულ მცირე, 3 წევრისაგან. თითოეულ „დამფუძნებელ აქციონერს“ ვიდრე ის ფლობს საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 10%-ს მაინც, აქვს უფლება ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში.

11.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

11.4. A member of the supervisory board shall be elected by the general meeting by a majority of votes of the participants in the voting.

11.5. Each member of the supervisory board shall be elected for a term of not more than three years. The term of office of a member of the supervisory board shall be automatically extended, after its expiry, until a general meeting is held and new members are elected at that meeting. A member of the supervisory board may be re-elected.

11.6. A member of the supervisory board shall control the activities of the management body/managers of a joint-stock company in good faith, and in the cases provided for by law, represent the joint-stock company in relations with the management body/managers.

11.7. An elected member of the supervisory board may be recalled from membership of the supervisory board at any time, upon a decision of the general meeting. Such decision shall be made by a majority of votes of the participants in the voting.

11.8. A member of the supervisory board may withdraw from membership of the supervisory board at any time, provided that no harm is caused to the joint-stock company, unless such member has an excusable reason.

11.9. A member of the supervisory board may not be at the same time a member of the management body. The general director of a joint-stock company shall publish on the authorised user's page of the electronic platform the information on the composition of the supervisory board, the election of the chairperson of the supervisory board, and all related changes, as well as make such information available on the website (if any) of the joint-stock company.

11.10. The chairperson and the deputy chairperson of the supervisory board shall be elected by the supervisory board from among its members, by a majority of votes of the participants in the voting.

11.11. The chairperson of the supervisory board shall coordinate the activities of the supervisory board, chair the meetings of the supervisory board, and represent the supervisory board in relations with other bodies, officials and

11.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აირჩევა საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

11.5. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ახალი ვადით.

11.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ ორგანოებთან/პირებთან ურთიერთობაში.

11.7. სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრები საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნენ წევრობიდან. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

11.8. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე, რომ ზიანი არ მიაღგეს სააქციო საზოგადოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს საპატიო მიზეზი.

11.9. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი. გენერალური დირექტორი ვალდებულია ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და მათთან დაკავშირებული ყოველი ცვლილება, ასევე განათავსოს აღნიშნული საზოგადოების ვებგვერდზე, თუ საზოგადოებას აქვს ვებგვერდი.

11.10. სამეთვალყურეო საბჭო საბჭოს წევრებიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

11.11. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს და წარმოადგენს საბჭოს საზოგადოების სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან და თანამშრომლებთან. სამეთვალყურეო საბჭოს

employees of the joint-stock company. A deputy chairperson of the supervisory board shall perform the duties of the chairperson of the supervisory board when the chairperson is absent or unable to perform his/her/its functions.

11.12. Where relevant, Articles 50, 51, 53 and 55 of the Law of Georgia on Entrepreneurs regarding the liability of the managers of a joint-stock company shall apply to the members of the supervisory board of the joint-stock company.

## 12. Authority of the supervisory board

12.1. The supervisory board of a joint-stock company shall have the right:

12.1.1. to request, at any time, from the general director of the joint-stock company a report on the activities of the joint-stock company;

12.1.2. to request, review, inspect and examine the business documents of the joint-stock company, including the accounting documents, the property, and the cash office of the joint-stock company; to assign the above tasks to each member of the supervisory board or to engage experts to carry out such tasks;

12.1.3. to examine the annual accounts, proposals on profit distribution, and report on the activities of the joint-stock company, and to report to the general meeting in this regard;

12.1.4. to represent the joint-stock company in relations with the general director, including in a court;

12.1.5. to appeal the decisions of the general meeting in the cases provided for by law.

12.2. A member of the supervisory board shall have the right to look through the reports and information submitted by the general director.

12.3. The following activities can be carried out only with the approval of the Supervisory Board:

12.3.1. purchase and transfer of shares in other companies;

12.3.2. purchase, transfer and encumbrance of real estate and property rights;

12.3.3. establishment and liquidation of branches;

12.3.4. annual budget planning;

თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობისას.

11.12. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე, შესაბამის შემთხვევებში, ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე, 51-ე, 53-ე და 55-ე მუხლები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის შესახებ.

## 12. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

12.1. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს:

12.1.1. სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს სააქციო საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;

12.1.2. გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს სააქციო საზოგადოების საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაცია, სააქციო საზოგადოების ქონებრივი ობიექტები და სალარო; ამ მოქმედებების განხორციელება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ან მათ განსახორციელებლად მოიწვიოს ექსპერტები;

12.1.3. შეამოწმოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;

12.1.4. წარმოადგინოს სააქციო საზოგადოება გენერალურ დირექტორთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;

12.1.5. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები.

12.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს გაეცნოს გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილ ანგარიშებსა და ინფორმაციას.

12.3. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

12.3.1. სხვა კომპანიებში წილების შეძენა და გადაცემა;

12.3.2. უძრავი ქონების და ქონებრივი უფლებების შეძენა, გადაცემა და დატვირთვა;

12.3.3. ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია;

12.3.4. წლიური ბიუჯეტის დაგეგმვა;



12.3.5. Investments, the value of which, individually or in total, exceeds the amount of money established by the Supervisory Board;

12.3.6. taking credits and loans in the amount, the value of which exceeds the limit set by the Supervisory Board;

12.3.7. provision of credits and loans, if they are beyond the scope of daily economic activity;

12.3.8. starting and stopping economic activity and production;

12.3.9. establishing common principles of economic policy;

12.3.10. determination of remuneration and/or additional benefits for the management of the company, as well as the appointment of pensions for them;

12.3.11. appointment and dismissal of trade representatives (procurators);

12.3.12. approval of the agreement or contract(s) according to which the expenditure incurred by the company exceeds the limit set by the Supervisory Board;

12.3.13. Opening of any new office or purchase/disposal or lease of real estate for this purpose;

12.3.14. Other activities that may be defined by the relevant legislation.

### 13. Meeting of the supervisory board

13.1. A meeting of the supervisory board shall be held at least once every six months. The chairperson of the supervisory board shall hold the meetings of the supervisory board.

13.2. A member of the supervisory board or the general director shall have the right to request the chairperson of the supervisory board to convene a meeting of the supervisory board immediately. The reasons and purposes for holding the extraordinary meeting shall be included in such request. The chairperson of the supervisory board shall hold the meeting of the supervisory board within 10 days after such request. If a request to convene a meeting of the supervisory board is not granted, a member of the supervisory board or the management body may convene the meeting of the supervisory board.

13.3. A meeting of the supervisory board shall be headed by the chairperson of the supervisory board, or in his/her/its absence, by the deputy chairperson of the supervisory board, or in his/her/its absence, by one of the members of

12.3.5. ინვესტიციები, რომლის ღირებულებაც, ცალკე ან ჯამში, აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი თანხის ოდენობას;

12.3.6. კრედიტების და სესხების აღება იმ ოდენობით, რომლის ღირებულებაც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ზღვარს;

12.3.7. კრედიტების და სესხების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის სფეროს;

12.3.8. სამეურნეო საქმიანობის და წარმოების წამოწყება და შეჩერება;

12.3.9. სამეურნეო პოლიტიკის საერთო პრინციპების დადგენა;

12.3.10. საზოგადოების ხელმძღვანელობის ანაზღაურების ან/და დამატებითი სარგებლის განსაზღვრა, აგრეთვე მათთვის პენსიების დანიშვნა;

12.3.11. სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გათავისუფლება;

12.3.12. იმ შეთანხმების ან ხელშეკრულებ(ებ)ის დამტკიცება, რომლის შესაბამისად საზოგადოების მიერ გაწეული ხარჯი აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ზღვარს;

12.3.13. ნებისმიერი ახალი ოფისის გახსნა ან ამ მიზნით უძრავი ქონების შეძენა/გასხვისება ან იჯარით აღება;

12.3.14. სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც შესაძლოა განსაზღვრული იყოს შესაბამისი კანონმდებლობით.

### 13. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

13.1. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს ექვს თვეში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სხდომების ჩატარება.

13.2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ან გენერალურ დირექტორს აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისაგან მოითხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლიათ, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

13.3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სხდომის

the supervisory board. The minutes of the meeting of the supervisory board shall be drawn up regarding the progress of the meeting and the decisions adopted. The chairperson of the meeting of the supervisory board shall be responsible for the accuracy and comprehensiveness of the minutes of the meeting.

13.4. The supervisory board shall be authorised to adopt decisions if a meeting of the supervisory board is attended by at least half of the members of the supervisory board.

13.5. If the supervisory board is not authorised to adopt decisions, the chairperson of the meeting of the supervisory board shall convene a new meeting within not later than 3 days, which shall be authorised to adopt decisions irrespective of the number of members participating in the voting.

13.6. Unless otherwise provided for by law, the supervisory board shall make decisions by a majority of votes of the participants in the voting, and each member shall have one voting right. If votes are divided equally, the vote of the chairperson of the supervisory board, or in his/her/its absence, the vote of the chairperson of the meeting, shall be decisive.

13.7. A decision of the supervisory board shall be documented by a respective record in the minutes of the meeting of the supervisory board. The minutes of the meeting shall be drawn up by the chairperson. The chairperson of the meeting shall be responsible for the authenticity of the minutes of the meeting and for the accuracy of the facts specified therein.

#### **14. Winding-up and reorganisation of a joint-stock company**

14.1. The following shall be the grounds for the winding-up of a joint-stock company:

14.1.1. a decision of the shareholders of the joint-stock company on the winding-up of the joint-stock company;

14.1.2. a violation of the requirements of law regarding the mandatory number of shareholders of the joint-stock company;

14.1.3. the entry into force of a court judgment in a criminal case concerning the liquidation of a legal person;

მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმის სისწორესა და სრულყოფილებაზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე.

13.4. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, სულ მცირე, ნახევარი.

13.5. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 3 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება კენჭისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

13.6. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით და ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა.

13.7. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმში ჩანაწერით. ოქმს ადგენს თავმჯდომარე. კრების ოქმის ნამდვილობასა და მასში მითითებული ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე.

#### **14. სააქციო საზოგადოების დაშლა და რეორგანიზაცია**

14.1. სააქციო საზოგადოების დაშლის საფუძვლებია:

14.1.1. საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილება საზოგადოების დაშლის შესახებ;

14.1.2. საზოგადოების პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა;

14.1.3. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

14.1.4. a court decision made on the winding-up of the joint-stock company based on an application/lawsuit of a shareholder of the joint-stock company.

14.2. The winding-up of a joint-stock company shall be carried out according to the procedure established by the Law of Georgia on Entrepreneurs.

14.3. A joint-stock company may be reorganised in the following forms:

- 14.3.1. the conversion of the joint-stock company;
- 14.3.2. the merger with another company (a merger by acquisition or a merger by the formation of a new company);
- 14.3.3. the division of the joint-stock company (division or separation).

14.4. The re-organization of a joint-stock company shall be carried out according to the procedure established by the Law of Georgia on Entrepreneurs.

14.5. The rights and obligations of the shareholders as provided for by the Law of Georgia on Entrepreneurs shall be taken into consideration in the process of winding-up and reorganisation of a joint-stock company.

14.6. The liquidation of a joint-stock company shall be jointly administered by its managers, who shall be appointed as liquidators, unless a decision of the general meeting provides for the appointment of other persons as liquidators.

14.7. The liquidators shall immediately notify the creditors of the winding-up of a joint-stock company by publishing an appropriate announcement on the authorised user's page of the electronic platform (an electronic address) of the registration authority or on their websites, and invite them to submit their claims.

14.8. A liquidator shall meet the requirements set out for the managers of a company.

14.9. When carrying out activities related to liquidation, liquidators shall have the same rights and obligations as managers, except for the prohibition of competition. The duty of care in special circumstances shall apply to liquidators. The liquidators are obliged to finish current

14.1.4. საზოგადოების პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საზოგადოების დაშლის შესახებ.

14.2. სააქციო საზოგადოების დაშლა ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

14.3. დასაშვებია სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

- 14.3.1. საზოგადოების გარდაქმნა;
- 14.3.2. სხვა სამეწარმეო საზოგადოებასთან შერწყმა (მიერთება ან გაერთიანება);
- 14.3.3. საზოგადოების გაყოფა (დაყოფა ან გამოყოფა).

14.4. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

14.5. სააქციო საზოგადოების დაშლისა და რეორგანიზაციის პროცესში უნდა იქნეს გათვალისწინებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აქციონერთა უფლებები და მოვალეობები.

14.6. სააქციო ლიკვიდაციის პროცესს ერთობლივად ხელმძღვანელობენ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ინიშნებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთო კრების გადაწყვეტილება ლიკვიდატორებად სხვა პირების დანიშნას ითვალისწინებს.

14.7. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებულ გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) ან თავიანთ ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ კრედიტორებს სააქციო საზოგადოების დაშლის შესახებ და უნდა მოიწვიონ ისინი მოთხოვნების განსაცხადებლად.

14.8. ლიკვიდატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

14.9. ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას ლიკვიდატორები სარგებლობენ იმავე უფლებებით და ეკისრებათ იგივე მოვალეობები, რომლებიც აქვთ ხელმძღვანელ პირებს, გარდა კონკურენციის აკრძალვისა. ლიკვიდატორებზე ვრცელდება განსაკუთრებულ ვითარებაში ზრუნვის მოვალეობა.

operations, sell assets and cover the obligations of the joint-stock company. Liquidators shall have the right to enter into new transactions, if they are necessary for liquidation.

14.10. The assets of a joint-stock company that goes into liquidation remaining after fulfilment of obligations shall be distributed among its shareholders. In such case the holders of privileged shares (if any) will be entitled to a preference in relation to the holders of Class A common shares and Class B common shares, and also, the holders of Class B shares will be entitled to a preference in relation to the holders of Class A common shares.

14.11. If contributions were not made in full, initially the contributions or their equivalent value shall be returned, and the remaining assets shall be distributed based on the rights attached to the shareholders' shares.

## 15. Accounting, reporting and audit

15.1. Accounting, and the preparation, submission and audit of financial statements, shall be carried out in accordance with the Law of Georgia on Accounting, Reporting and Audit.

15.2. The general meeting of shareholders shall annually select an auditor, who will be independent economically and legally from the Company. The obligatory revision carried out by the independent auditor shall include accounting, yearly balance and practice of conducting business.

## 16. Audit Committee

16.1. An audit committee shall be established within the supervisory board of the Company, which comprises the members of the supervisory board and at least one independent member. An independent member shall be considered a person with no legal and/or economic relations with the Company, who holds no shares in the Company and receives no remuneration or other economic benefits from the Company, other than the remuneration determined for membership of the supervisory board and/or the audit committee.

ლიკვიდატორები ვალდებული არიან დაასრულონ მიმდინარე საქმეები, მოახდინონ აქტივების რეალიზაცია და შეასრულონ სააქციო საზოგადოების ვალდებულებები. ლიკვიდატორებს უფლება აქვთ დადონ ახალი გარიგებები, თუ ეს ლიკვიდაციისთვის აუცილებელია.

14.10. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სააქციო საზოგადოების ქონება შესაბამისი ვალდებულებების დაფარვის შემდეგ ნაწილდება აქციონერებს შორის. ასეთ შემთხვევაში პრივილეგირებული აქციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მფლობელები ისარგებლებენ უპირატესობით A კლასის ჩვეულებრივი და B კლასის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან მიმართებით, ხოლო თავის მხრივ B კლასის აქციათა მფლობელები ისარგებლებენ უპირატესობით A კლასის ჩვეულებრივ აქციათა მფლობელებთან მიმართებით.

14.11. თუ შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული, თავდაპირველად ბრუნდება შენატანები ან მათი ღირებულება, ხოლო ნარჩენი ქონება ნაწილდება აქციონერთა აქციებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად.

## 15. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

15.1. საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

15.2. აქციონერთა საერთო კრება ყოველწლიურად ირჩევს აუდიტორს, რომელიც იქნება სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი საზოგადოებისაგან. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განხორციელებული სავალდებულო შემოწმება უნდა ასახავდეს ანგარიშგებას, წლიურ ბალანსსა და საქმიანობის წარმოების პრაქტიკას.

## 16. აუდიტის კომიტეტი

16.1. სამეთვალყურეო საბჭოში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და სულ მცირე 1 დამოუკიდებელი წევრისგან. დამოუკიდებელ წევრად მიიჩნევა პირი, რომელიც საზოგადოებასთან სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის, მათ შორის, არ ფლობს ამ საზოგადოების აქციებს/წილებს და არ იღებს აღნიშნული საწარმოდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის ან/და აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა.

16.2. A member of the audit committee shall have competence in the field of activities of the company. At least one member of the audit committee shall have competence in accounting and/or auditing.

16.3. The chairperson of the audit committee shall be elected from among its members by the supervisory board of the Company. The supervisory board of the Company shall elect an independent member determined by paragraph 1 of this article as the chairperson of the audit committee.

16.4. The audit committee shall supervise:

16.4.1. the financial reporting process;

16.4.2. the effectiveness of quality control, risk management and, where relevant, of the internal audit of financial information;

16.4.3. the audit of the financial statements/consolidated financial statements based on the opinions included in a quality control system monitoring report;

16.4.4. the observance by the auditor/audit firm of the requirements (including the rules regarding independence) of the Law of Georgia on Accounting, Reporting and Audit.

16.5. An audit committee shall submit to the supervisory board of the Company information about the results of the audit conducted, the effect of the audit on the veracity of the financial statements, and the involvement of the audit committee in that process.

## 17. Final provisions

17.1. In the case of any discrepancy between the Law of Georgia on Entrepreneurs and this Charter, the former shall prevail.

17.2. The declaration of any provision of this Charter as invalid shall not affect the validity of other provisions of this Charter.

17.3. The charter is drawn up in Georgian and English languages, in case of inconsistency between the versions, priority will be given to the Georgian version.

16.2. აუდიტის კომიტეტის წევრი უნდა იყოს საზოგადოების საქმიანობის სფეროში კომპეტენტური პირი. აუდიტის კომიტეტის სულ მცირე 1 წევრი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ან/და აუდიტის სფეროში კომპეტენტური პირი.

16.3. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს აუდიტის კომიტეტის წევრთაგან ირჩევს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭომ აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა აირჩიოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.

16.4. აუდიტის კომიტეტის ფუნქციაა, ზედამხედველობა გაუწიოს:

16.4.1. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;

16.4.2. ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;

16.4.3. ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;

16.4.4. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

16.5. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის ინფორმაციას განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ.

## 17. დასკვნითი დებულებები

17.1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და ამ წესდებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

17.2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

17.3. წესდება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას.